



შპს "ბიზნეს აუტსორსი"

ს/კ 401993009 SARAS-F-972332

საქართველო, თბილისი, წერეთლის 72

ელ.ფოსტა: audit@fin.ge

ტელ.: +995 598 155345

"Business Outsource" LLC

I/D 401993009 SARAS-F-972332

#72, Tsereteli ave,

Tbilisi, Georgia

e-mail: audit@fin.ge

Tel.: +995 598 155345

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

აზტექნოლაინი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ახსნა განმარტებით შენიშვნებს. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე გამოყენებულ სააღრიცხვო მიდგომებს, მენეჯმენტის პასუხისმგებლობას მის მომზადებასა და წარდგენაზე. აუდიტორის პასუხისმგებლობას და გამოთქმულ მომზადებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მოსაზრების საფუძველი.....	3
მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები	3
სხვა ინფორმაცია	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში.....	5
ინდივიდუალური საბალანსო უწყისი.....	7
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
ინდივიდუალური ინდივიდუალური კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება.....	10
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	11
რისკის მართვა	21
სასამართლო დავები	22
საწარმოს უწყვეტობის განხილვა	22
ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	22
აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აზტექნოლაინის“ ხელმძღვანელობას

დადებითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აზტექნოლაინის“ („კომპანია“ ან/და „საწარმო“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების, ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უწყურად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა

წინამდებარე დასკვნის თარიღის მდგომარეობით, ფულადი დავალიანებების ამოღებების მიზნით მიმდინარეობს საქმისწარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში შემდეგ მოვალეობთან მიმართებაში:

შპს „კალასი“ (ს/კ 205109167); გადაცემულია აღსრულების ეროვნულ ბიუროში. მიდინარეობს იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. დავალიანება: 50,601 ლარი;

შპს „ეი ჯი ინდასტრის“ (ს/კ 404580618) გადაცემულია აღსრულების ეროვნულ ბიუროში. მიდინარეობს იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. დავალიანება: 2,444 ლარი;

შპს „მაილი ქონსტრაქშენ“ (ს/კ 402101738); გადაცემულია აღსრულების ეროვნულ ბიუროში. მიდინარეობს იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. დავალიანება: 32,000 ლარი.

შპს „სანტექ ჯგუფი“ (ს/კ 204576654); შეტანის თარიღი: 28.04.2023; დავალიანება: 36,122 ლარი.



შპს "ბიზნეს აუტსორსი"

ს/კ 401993009 SARAS-F-972332

საქართველო, თბილისი, წერეთლის 72

ელ.ფოსტა: audit@fin.ge

ტელ.: +995 598 155345

"Business Outsource" LLC

I/D 401993009 SARAS-F-972332

#72, Tsereteli ave,

Tbilisi, Georgia

e-mail: audit@fin.ge

Tel.: +995 598 155345

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს („კანონი“), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს აზტექნოლაინის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს).

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები არიან პასუხისმგებლები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით იმ შემთხვევაში, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მის ხელთ არსებული ყველა ალტერნატიული წყაროს გამოყენებაზე ინფორმაციების შესადარებლად და თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით.
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 და 2022 საანგარიშგებო პერიოდებზე. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 30 დეკემბერს.

მენეჯმენტის ხელმოწერით:

დირექტორი

გიუნელ ვალიევა

30 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო



შპს "ბიზნეს აუტსორსი"

ს/კ 401993009 SARAS-F-972332

საქართველო, თბილისი, წერეთლის 72

ელ.ფოსტა: audit@fin.ge

ტელ.: +995 598 155345

"Business Outsource" LLC

I/D 401993009 SARAS-F-972332

#72, Tsereteli ave,

Tbilisi, Georgia

e-mail: audit@fin.ge

Tel.: +995 598 155345

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე.

აუდიტის წარმართვისას, ჩვენ ვმოქმედებდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად, რომელიც მოითხოვს ჩვენს მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმარებასა და წარმართვას, რომელიც უზრუნველყოფს გონივრულ გარანტიას, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ აუცილებელი პროცედურების ჩატარებას. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს მატერიალური უზუსტობების (მათ შორის თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული) არსებობის რისკების შეფასებას. ზემოაღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისობას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაგეგმოს კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმისთვის, რომ გამოთქვას მოსაზრება, რამდენად ადეკვატური და ეფექტურია შიდა კონტროლის სისტემა.

აუდიტი ასევე მოიცავს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მიზანშეწონილობის, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და უზრუნველყოფს კვალიფიციური მოსაზრების გამოთქმის საფუძველს.

დასკვნა

ჩვენი მოსაზრებით თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 და 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდებზე, აგრეთვე მისი საქმიანობა ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ლელა ლუტიძე

შპს ბიზნეს აუტსორსი

30 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

საუბო



საბალანსო უწყისი

	შენ.	31 დეკ. 2022	31 დეკ. 2021	31 დეკ. 2020
ძირითადი საშუალებები	1	52,047	44,630	43,595
სულ გრძელვადიანი აქტივები		52,047	44,630	43,595
მარაგები		838,690	475,947	170,378
საგადასახადო აქტივები		45,204		12,929
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3,753,653	3,961,648	3,279,264
თანამშრომელზე გადახდილი ავანსები		622	-	-
გადახდილი ავანსები		128,343	37,259	1,276
დროებით დაბლოკილი თანხები		2,528	1,568	
ფული და ფულის ექვივალენტები	2	267,026	428,190	199,445
სულ მიმდინარე აქტივები		5,036,066	4,904,612	3,663,292
სულ აქტივები		5,088,113	4,949,242	3,706,887
საწესდებო კაპიტალი		197,263	197,263	197,263
დაგროვილი მოგება/ზარალი		1,019,851	569,226	67,105
სულ საკუთარი კაპიტალი		1,217,114	766,489	264,368
საგადასახადო ვალდებულებები			16184.12	
მიღებული სესხები		-	9,008	12,601
სავაჭრო ვალდებულებები		3,867,389	4,153,617	3,429,918
მიღებული ავანსები		3,610	3,944	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,870,999	4,182,753	3,442,519
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,088,113	4,949,242	3,706,887

დირექტორი

30 დეკემბერი 2022
თბილისი, საქართველო



მოგება ზარალისა და სხვა
სრული შემოსავლის
ანგარიშგების უწყისი

	შენიშვნა	31 დეკ. 2022	31 დეკ. 2021	31 დეკ. 2020
შემოსავალი		10,119,274	10,119,040	5,409,364
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება		(9,174,668)	(9,237,815)	(4,930,920)
საერთო მოგება		944,605	881,225	478,444
მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯები	3	(550,048)	(404,081)	(281,208)
მიწოდების ხარჯები	4	(4,692)	(8,540)	(1,711)
სხვა შემოსავლები (ხარჯები)		(1,959)	1,383	(60)
საოპერაციო მოგება		387,906	469,988	195,465
საპროცენტო შემოსავალი		442	-	-
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		62,277	32,133	(92,919)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		450,625	502,121	102,546
წმინდა მოგება დაბეგვრის შემდგომ		450,625	502,121	102,546

დირექტორი

30 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო





შპს "ბიზნეს აუტსორსი"

ს/კ 401993009 SARAS-F-972332

საქართველო, თბილისი, წერეთლის 72

ელ.ფოსტა: audit@fin.ge

ტელ.: +995 598 155345

"Business Outsource" LLC

I/D 401993009 SARAS-F-972332

#72, Tsereteli ave,

Tbilisi, Georgia

e-mail: audit@fin.ge

Tel.: +995 598 155345

ფულადი ნაკადების ანგარიშგების უწყისი

	31 დეკ. 2022	31 დეკ. 2021	31 დეკ. 2020
ფულადი ნაკადები რეალიზაციიდან	9,207,792	11,005,875	3,360,013
მომწოდებლისგან თანხის დაბრუნება	35,113	28,771	0
გადასახადის უკან დაბრუნება	106,342	16,927	0
მომხმარებლისთვის უკან დაბრუნებაზე გაცემული ფული	(25,177)	(13,452)	(35,520)
შემენებზე გაწეული გადახდები	(7,095,308)	(8,721,869)	(2,097,049)
გადახდები სატრანსპორტო მომსახურებაზე	(1,840)	(3,950)	0
სახელფასო გადახდები	(216,960)	(145,794)	(107,461)
გადახდები იჯარაზე	(38,165)	(33,922)	(1,540)
საწვავის შემენაზე გაწეული გადახდები	0	(2,915)	0
კომუნალური გადახდები	0	(461)	0
გადახდები კომუნიკაციის ხარჯზე	0	(3,233)	0
გადასახადების გადახდები	(2,027,459)	(1,781,195)	(991,066)
ბანკის მომსახურებაზე გაწეული გადახდები	(4,600)	(4,251)	(5,529)
საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეული გადახდები	0	(5,572)	(30,969)
სამიწვინებლო ხარჯზე გაწეული გადახდები	(1,488)	(2,550)	0
სხვა გადახდები	(65,037)	(62,923)	(820)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(126,786)	269,485	90,060
ძირითადი საშუალებების შემენა	0	(11,282)	0
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები	0	(11,282)	0
თანხის შეტანა კაპიტალში	0	0	176,583
თანხის გატანა კაპიტალიდან	0	0	(176,583)
ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები	0	0	0
სულ ფულადი ნაკადები	(126,786)	258,203	90,060
ფულის და ფულადი ექვივალენტების საწყისი ნაშთი	428,190	199,445	121,358
უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ცვლილებები	(34,378)	(29,458)	(11,972)
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	267,026	428,190	199,445

დირექტორი

30 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო



გვერდი 9/22



შპს "ბიზნეს აუტსორსი"
ს/კ 401993009 SARAS-F-972332
საქართველო, თბილისი, წერეთლის 72
ელ.ფოსტა: audit@fin.ge
ტელ.: +995 598 155345

"Business Outsource" LLC
I/D 401993009 SARAS-F-972332
#72, Tsereteli ave,
Tbilisi, Georgia
e-mail: audit@fin.ge
Tel.: +995 598 155345

კაპიტალის ცვლილებების უწყისი

	კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2020	197,263	67,105	264,368
კაპიტალის გაზრდა			-
კაპიტალის შემცირება			-
სულ მესაკუთრის ტრანზაქციები	-	-	-
პერიოდი მოგება/ (ზარალი)		502,121	502,121
სულ საანგარიშგებო წლის მოგება/(ზარალი)	-	502,121	502,121
31 დეკემბერი 2021	197,263	569,226	766,489
კაპიტალის გაზრდა			-
კაპიტალის შემცირება			-
სულ მესაკუთრის ტრანზაქციები	-	-	-
პერიოდი მოგება/ (ზარალი)		450,625	450,625
სულ საანგარიშგებო წლის მოგება/(ზარალი)	-	450,625	450,625
31 დეკემბერი 2022	197,263	1,019,851	1,217,114



დირექტორი

30 დეკემბერი 2023

თბილისი, საქართველო



შპს "ბიზნეს აუტსორსი"

ს/კ 401993009 SARAS-F-972332

საქართველო, თბილისი, წერეთლის 72

ელ.ფოსტა: audit@fin.ge

ტელ.: +995 598 155345

"Business Outsource" LLC

I/D 401993009 SARAS-F-972332

#72, Tsereteli ave,

Tbilisi, Georgia

e-mail: audit@fin.ge

Tel.: +995 598 155345

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს "აუტსორსი" (ს/კ 402122519) დაარსდა 2019 წლის აპრილში. კომპანიას არ ყავს შვილობილი კომპანიები, და არ აქვს ინვესტიციები სხვა საწარმოებში.

შპს "აუტსორსის" მთავარ საქმიანობა არის საკანალიზაციო მიწების, ჰის ხუფებისა და სხვა დამხმარე მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს აუტსორსი (ს/კ 1601517431, აზერბაიჯანი).

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რაფაელ აგლადის ქუჩა N55, ქუჩა სტანისლავსკი, N 12, რაფაელ აგლადის ქუჩა N55ა, რაფაელ აგლადის ქუჩა N57, კონსტანტინე სტანისლავსკის ქუჩა N1ა, რაფაელ აგლადის ქუჩა N59

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს ("ზასს") მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("ფაისკ") მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმოსათვის, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილი კომპანია არის პირი რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი. გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოს არ გააჩნია ინვესტიციები შვილობილ საწარმოში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

ფინანსურ აქტივი, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი -სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვევალენტი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებულ ნაწილზე მიმდინარეობს სასამართლო და სააღსრულებლო საქმისწარმოება. სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად სათანადო სააღრიცხვო ანგარიშებზე მოხდა თანხის დარეზერვება 2021 წელს. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით. ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება ცვეთის აღრიცხვის წრფივი მეთოდი. ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით. თუ სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის ის ჩაითვლება ნულის ტოლად. ცვეთის დარიცხვა ხდება ქვემოთ მოყვანილი კატეგორიების მიხედვით:

- სატრანსპორტო საშუალებები - 60 თვე
- ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 60 თვე

მატერიალური ფასეულობები, რომლებიც დაბალ ფასიანია და სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს მცირე, არ შეიტანება ძირითად საშუალებებში და განიხილება როგორც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ხარჯი.

აქტივების შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯების დარიცხვა ხდება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისებისას ან ჩამოწერის დროს. როცა მისი ექსპლუატაციის და სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება შედის იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სესხები

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ გააჩნია მიღებული ან/და გაცემული სესხები.

ლიზინგი

2020 წლის 03 სექტემბერს გაფორმებული სალიზინგო ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიას შეძენილი აქვს ავტომობილი.

ლიზინგით მიღებული აქტივი შეფასებულია თვითღირებულების მოდელით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც შენატანი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

გუდვილი

საწარმოთა გაერთიანებისას წარმოქმნილი გუდვილი წარმოადგენს კომპანიის მიერ შემენილი აქტივებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღებისათვის შესრულებულ გადახდას, რომელთა ცალ-ცალკე განსაზღვრა და აღიარება შეუძლებელია. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბალანსზე აღრიცხული გუდვილი არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით და მოიცავს ისტორიულ ღირებულებას და აკუმულირებულ ცვეთას.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანიას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

შენიშვნა 1. - ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება			
ისტორიული ღირებულება 31/12/2020	10,142	40,766	50,908
დამატებები	11,224		11,224
გაყიდვა	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31/12/2021	21,366	40,766	62,131
დამატებები	4,072	18,249	22,321
გაყიდვა	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31/12/2022	25,438	59,015	84,452
აკუმულირებული ცვეთა			
აკუმულირებული ცვეთა 31/12/2020	2,264	5,050	7,314
მიმდინარე პერიოდის ამორტიზაცია	2,857	7,332	10,189
გაყიდვების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 31/12/2021	5,120	12,382	17,502
მიმდინარე პერიოდის ამორტიზაცია	4,505	10,399	14,904
გაყიდვების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 31/12/2022	9,626	22,781	32,407
წმინდა საბალანსო ღირებულება			
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2020	7,878	35,716	43,594
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2021	16,245	28,384	44,629
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2022	15,812	36,234	52,046

**შპს "ბიზნეს აუტსორსი"**

ს/კ 401993009 SARAS-F-972332

საქართველო, თბილისი, წერეთლის 72

ელ.ფოსტა: audit@fin.ge

ტელ.: +995 598 155345

"Business Outsource" LLC

I/D 401993009 SARAS-F-972332

#72, Tsereteli ave,

Tbilisi, Georgia

e-mail: audit@fin.ge

Tel.: +995 598 155345

შენიშვნა 2 - ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული	48,459	21,370	413
თანხა საბანკო ანგარიშზე	218,566	406,820	199,033
სულ ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტი	267,026	428,190	199,445

შენიშვნა 3 - მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯები

მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ყველა იმ ადმინისტრაციულ ხარჯს რაც დაკავშირებულია კომპანიის ადმინისტრაციის საოპერაციო საქმიანობასთან:

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
იჯარის ხარჯი	65,791	52,678	48,348
დაქირავებულთა სარგებელი	300,955	194,250	130,350
საკონსულტაციო მომსახურება	105,669	75,834	59,885
საბანკო მომსახურების ხარჯი	3,274	3,733	5,529
დაზღვევის ხარჯი (გარდა დაქირავებულთა დაზღვევისა)	995	858	215
ცვეთა და ამორტიზაცია	14,904	10,188	6,562
კომუნალური ხარჯები	794	775	931
ტრენინგის ხარჯი		300	
საწვავი	8,510	4,606	2,894
შეკეთება/აღდგენა/დასუფთავება	505	615	28
მივლინება	10,556	4,251	616
საკომუნიკაციო ხარჯი	4,655	4,527	3,495
საკანცელარიო ხარჯი	3,506	845	662
სხვა	29,934	50,620	21,694
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	550,048	404,081	281,208

**შპს "ბიზნეს აუტსორსი"**

ს/კ 401993009 SARAS-F-972332

საქართველო, თბილისი, წერეთლის 72

ელ.ფოსტა: audit@fin.ge

ტელ.: +995 598 155345

"Business Outsource" LLC

I/D 401993009 SARAS-F-972332

#72, Tsereteli ave,

Tbilisi, Georgia

e-mail: audit@fin.ge

Tel.: +995 598 155345

შენიშვნა 4 - მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები მოიცავს მხოლოდ სარეკლამო და სატრანსპორტო ხარჯებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	66	55	1,112
სატრანსპორტო მომს. ხარჯი	4,470	8,290	599
სულ მიწოდების ხარჯი	4,536	8,346	1,711

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	44,926	44,561	44,196
ლარში	332,195	372,677	800,332
დოლარში	3,421,458	3,588,972	2,478,932
სულ	3,753,653	3,961,648	3,279,264

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცდილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცდილების სტატუსის საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში კომპანია ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ ვალდებულებას უცხოელ მომწოდებელთან. ასევე კომპანია იმპორტით მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი; (დ)

ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ძირითად მომწოდებელს წარმოადგენს დედა კომპანია, რომლის მიმართ არსებული დავალიანება დენომინირებულია ლარში და წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ჩართული სასამართლო დავაში შპს სანტექ ჯგუფის (ს/კ 204576654) წინააღმდეგ, დავა მიმდინარეობს 36,122 ლარიანი დებიტორული მოთხოვნის ამოღების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია იურისტის წერილობითი დასტური, აღნიშნული პროცესის 90%-იანი სიზუსტით წარმატების თაობაზე.

კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის პირობითი ვალდებულება, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ხელშეკრულების რაიმე სადავო საკითხებთან.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

2019 წლის ბოლოს კომპანიას ქონდა დაუფარავი ზარალი. ხოლო 2020 წლის მოგებამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა წინა წლის ზარალს. აღნიშნული დინამიკა ცხადყოფს, რომ კომპანიის უწყვეტ საქმიანობას საფრთხე არ ემუქრება.



შპს "ბიზნეს აუტსორსი"

ს/კ 401993009 SARAS-F-972332

საქართველო, თბილისი, წერეთლის 72

ელ.ფოსტა: audit@fin.ge

ტელ.: +995 598 155345

"Business Outsource" LLC

I/D 401993009 SARAS-F-972332

#72, Tsereteli ave,

Tbilisi, Georgia

e-mail: audit@fin.ge

Tel.: +995 598 155345

ბალანსის შემდგომი მოვლენები

შპს აზტექნოლაინის საბალანსო უწყისში 2020 წლიდან ფიქსირდება დროებით ბლოკირებული ფინანსური რესურსი 8,550 ლარის ოდენობით. აღნიშნული აქტივი წარმოშობილია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გამოცხადებული ტენდერიდან, სადაც შპს აზტექნოლაინმა ვერ გადალახა სატენდერო მოთხოვნები. მიუხედავად აღნიშნულისა ზემოაღნიშნული თანხა დარჩა ბლოკირებული საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ. მხოლოდ ჩვენს მიერ 2023 წლის სექტემბერში მოთხოვნილი დადასტურების შედეგად გახდა ცნობილი აღნიშნული ფულადი რესურსის ჩამოჭრის თაობაზე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის. აღნიშნული გასათვალისწინებელია შემდგომი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში და განსახორციელებელია შესაბამისი მაკორექტირებელი პროცედურები.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

EBITDA

2021 წელს EBITDA 502,121 ლარი, ხოლო 2022 წელს იყო 450,625 ლარი.

ძირითადი რისკები

ძირითადი რისკები არის გლობალური მაკროეკონომიკური რისკები, რაიმე სპეციფიკური რისკი კომპანიას არ გააჩნია.

ქართული ლარის არა მყარი ღირებულება, რომელიც ხელს უშლის რეალიზაციის მარჯის სტაბილურობას, რაც საფრთხეს უქმნის კომპანიის მომგებიანობას. ასევე ვალუტის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს საკრედიტო კუთხით ზარალი, რადგან საზღვრებს მიღმა ოპერაციები ხორციელდება უცხოურ ვალუტაში, რაც პროვოცირებას უწევს კურსთა შორის სხვაობიდან მიღებულ ზარალს.

მეზობელ სახელმწიფოებს შორის გართულებულმა საერთაშორისო ურთიერთობებმა შეიძლება წარმოშვას პოლიტიკური დესტაბილიზაცია, ასევე არის საშიშროება შიდა არეულობის და ეკონომიკური კრიზისის. ყველა ამ ფაქტორმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გაყიდვების მოცულობის შემცირებაზე და გამოიწვიოს კომპანიის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის სერიოზული ჩავარდნა. მსგავსი რისკები არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არ არსებობს მსგავსი რისკების წარმოშობის სერიოზული საფუძვლები.